

შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდი 01/01/2018 - 31/12/2018

შპს "ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"-ს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/18	31/12/17
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	365,925	122,300
სავაჭრო მოთხოვნები	1,028,688	977,258
მარაგები	147,833	151,757
სხვა მიმდინარე აქტივები	7,631	168,361
სულ მიმდინარე აქტივები	1,550,077	1,419,676
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5,629,784	4,726,341
გრძელვადიანი აქტივები	5,629,784	4,726,341
სულ აქტივები	7,179,861	6,146,017
ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	287,978	155,993
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	889,437	249,937
საგადასახადო ვალდებულებები	28,071	76,000
სულ ვალდებულებები:	1,205,486	481,930
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,606,842	3,490,261
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,606,842	3,490,261
სულ ვალდებულებები:	4,812,328	3,972,191
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	71,500	564,500
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,538,452	851,745
სხვა რეზერვები	757,581	757,581
სულ საკუთარი კაპიტალი	2,367,533	2,173,826

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული
ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 9

დეკემბერს

დირექტორი



ალექსანდრე ჩიჩუა
/ალექსანდრე ჩიჩუა/

შპს "ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"-ს საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

სანგარიშგებო პერიოდი: 01/01/2018 - 31/12/2018

ამონაგები	6,381,380.00
მარაგების ხარჯი:	(821,260.00)
დაქირავებულთა ანაზღაურება	(3,263,575.00)
სხვა საერთო ხარჯი:	(616,096.00)
საოპერაციო მოგება	1,680,449.00

ცვეთა და ამორტიზაცია	(229,486.00)
საპროცენტო ხარჯი	(254,917.00)
იჯარის ხარჯი:	(24,770.00)

საანგარიშო პერიოდის მოგება:	1,171,276.00
-----------------------------	--------------

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 9 სექტემბერს.



დირექტორი:

Handwritten signature in blue ink.

/ალექსანდრე ჩიჩუა/

შპს "ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
ნაღდი ფული სალარო	2,396,269
შემოსავალი ბანკი	3,848,900
სულ შემოსული:	6,069,989

გაცემული ხელფასები	2,094,247
გადახდილი გადასახადები	666,586
სხვა საოპერაციო ხარჯი	1,165,835
საკურსო	15,096
სულ გასული:	3,941,764

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,128,225
--	------------------

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გადახდილი სესხი	862,856
აღებული სესხი	(844,388)
გატანილი კაპიტალი	493,000
მიღებული გრანტი	(79,245)
დივიდენდი	380,000
გადახდილი პროცენტი	254,917
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,067,141

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
შესყიდული ძირითადი საშუალებები	907,040
გაყიდული გაყიდული ძირითადი საშუალებები	(89,580)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	817,460

ფული პერიოდის დასაწყისში	122,300
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	243,625
ფული პერიოდის ბოლოს	365,925

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური
ინფორმაცია ბელომდვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 9 სექტემბერს.



დირექტორი:

[Handwritten signature]

/ალექსანდრე ჩიჩუა/

შპს "ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"-ს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2018 წლის 1 იანვარი	2173826
წმინდა მოგება	1171276
კაპიტალის შემცირება	-493000
განაწილებული დივიდენდი	-484568
2018 წლის 31 დეკემბერი	2367534

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური
ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 9 სექტემბერს.



Handwritten signature in blue ink.

/ალექსანდრე ჩიჩუა/

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჩიჩუბის სამედიცინო ცენტრი მზერა“ (შემდგომში „კლინიკა“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რეგისტრირებულია 2002 წლის 10 ოქტომბერს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 206120730). ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ისნის რაიონში, წინანდლის ქ. №9. კლინიკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება. კლინიკა წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. 2018 წელს კლინიკის წილები გადანაწილებულიყო შემდეგნაირად: გიორგი ჩიჩუა (პირადი ნომერი: 01026002596) 75%, ალექსანდრე ჩიჩუა (პირადი ნომერი: 01026002633) 25%, ამჟამად კლინიკის 100% წილის მფლობელია გიორგი ჩიჩუა.

კომპანია ახორციელებს სხვა ტიპის ეკონომიკურ საქმიანობასაც, როგორცაა ფართების იჯარით გაცემა,

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება კლინიკაში დამტკიცებული ტარიფებისა და სხვადასხვა დამფინანსებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კლინიკაში მოქმედი ტარიფები შედგენილია შიდა სამედიცინო სტანდარტების საფუძველზე გასაწევი ხარჯების შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება პაციენტის ან სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ.

შემოსავლების მხრივ მსხვილი დამფინანსებელია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც შესრულებულ სამუშაოს კლინიკას უნაზღაურებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილების („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“) პირობების შესაბამისად, ამასთან კომპანია თანამშრომლობს კერძო სადაზღვევო კომპანიებთანაც.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

სამედიცნო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცნო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით. კომპანიის სამედიცნო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებისგან, სახელმწიფოსგან, ფიზიკური პირებისგან და სხვა კორპორატიული დებიტორებისგან მიღებულ შემოსავალს.

ამონაგების სახეები	თანხა (ლარი)
ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალი (მ.შ ტერმინალით გადახდილი თანხები)	2669993
კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული შემოსავალი	433354
მერიები და მუნიციპალიტეტი	215569

საყოველთაო დაზღვევა	2420342
სხვა ორგანიზაციები	642122
სულ შემოსავალი	6,381,380

ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

მოიცავს კლინიკის საბანკო ანგარიშებზე და სალაროში არსებულ თანხებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის, 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2018 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: აშშ დოლარი 2.6766, ევრო 3.0701

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულია საშუალო-შეწონილი მეთოდი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად :

	01/01/2018	შეძენა	გასვლა	ცვეთა	31/12/2018
შენობები	2,613,474.50	-	-	34,387.82	2,579,086.68
მანქანა-დანადგარები	164,388.95	-	-	9,480.24	154,908.71
სამედიცინო აპარატურა	1,099,425.21	1,169,998.02	68,122.00	131,556.14	2,069,745.09
კავშირგაბმულობის საშუალებები	4,825.75	-	-	430.43	4,395.32
ოფისის აღჭურვილობა	63,246.90	6,426.96	-	5,176.09	64,497.77
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	96,080.19	22,827.73	365.00	14,532.83	104,010.09
ავეჯი და სხვა ინვენტარი	117,615.07	820.00	-	11,096.15	107,338.92
სპეციალური ინსტრუმენტები	194,744.42	846.48	-	17,600.96	177,989.94
სატრანსპორტო საშუალებები	99,275.00	-	-	5,225.00	94,050.00
არამატერიალური აქტივი	8,066.00	495.00			8,561.00
მიწის ნაკვეთები	265,200.00	-	-		265,200.00
	4,726,341.99	1,201,414.19	68,487.00	229,485.66	5,629,783.52

ძირითადი საშუალებების კლასების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების კლასი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	80
მანქანა-დანადგარები	20
სამედიცინო აპარატურა	10
სატრანსპორტო საშუალებები	20
ოფისის აღჭურვილობა	15
ავეჯი და ინვენტარი	15
კომპიუტერები და კომპიუტერული ტექნიკა	10

კავშირგაბმულობის საშუალებები	15
სპეციალური ინსტრუმენტები	15

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება მიმდინარე პერიოდში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 71500 ლარს, გაცემულმა დივიდენდმა 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 470240 ლარი

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. “ესტონური მოდელით”. საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. კლინიკის მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე

საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კლინიკის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2018 წლის 9 სექტემბერს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 9 სექტემბერს.



ა. ჩიჩუა

/ალექსანდრე ჩიჩუა/